ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის სხდომის
ოქმი №7

დაბა ქედა **03 ნოემბერი, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

03.11.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №38 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2020 წლის 02 ნოემბრის დღის 18 საათამდე.

დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის 21 ოქტომბერს საკრებულოს აპარატში შემოვიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №GOV 9 20 00044436 საკონსულტაციო დასკვნა (შემოსული დოკუმენტი №98/04) „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის შესახებ, რომელსაც პროექტთან დაკავშირებით არსებითი სახის სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან სხვა სამართლებრივი შენიშვნები არ შემოსულა მიზანშეწონილია საკითხი დასამტკიცებლად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე